

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს

დადგენილება N6

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კონკურსის
გამოცხადების შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლების, საქართველოს განათლების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება N119/ნ-ის 24-ე მუხლის 1 და 2 პუნქტების, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე -17 მუხლის, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის 2015 წლის 4 ივნისის საბჭოს სხდომის ოქმი N2 -ის საფუძველზე, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს კონკურსი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად და განცხადება განთავსდეს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე 2015 წლის 5 ივნისს.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნები დაინიშნოს 2015 წლის 10 ივლისს.
3. კანდიდატთა რეგისტრაცია განისაზღვროს 2015 წლის 8 ივნისიდან 26 ივნისის ჩათვლით.
4. საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე გარდა კვირისა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიაში 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება;
- ბ) ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;
- გ) პირადობის მოწმობის ასლი;
- დ) ავტობიოგრაფია (CV);
- ე) ორი ფოტოსურათი (3x4);

აკადემიური საბჭოს თავ-რე, პროფესორი  ჯემალ მაგანია

აკადემიური საბჭოს მდივანი, პროფესორი  ნინო ქოჩაკიძე

